საქართველოს მთავრობის განკარგულება

№832 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სამი თვის ვადით გათავისუფლდეს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში, კირქვა, ღორღი) მოპოვების ლიცენზიისაგან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში.

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) დებულების 7[4] მუხლის 2[1] პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხები და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობების გადახდა:

გ.ა) სოფ. ბაჯის მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. აპანთა) – 868 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის - 151 (ას ორმოცდათერთმეტი) ლარი;

გ.ბ) სოფ. ტბეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. რიონი) – 630 $მ^3$ კირქვის მოპოვებისთვის - 126 (ას ოცდაექვსი) ლარი;

გ.გ) სოფ. ზემო ჟოშხას მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ასკისწყალი) - 3500 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 700 (შვიდასი) ლარი;

გ.დ) სოფ. პირველი ტოლას მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ასკისწყალი) – 2000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 400 (ოთხასი) ლარი;

გ.ე) სოფ. მეორე ტოლას მიმდებარე ტერიტორიაზე (მდ. ასკისწყალი) – 3000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისთვის - 600 (ექვსასი) ლარი.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 20 აპრილის
832 განკარგულების

დანართი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაჯის მიმდებარე ტერიტორია – 868 m^3 ქვიშა-ხრეში:

N	X	Y
1	331653	4712647
2	331660	4712654
3	331681	4712626
4	331672	4712614
S = 434 m2		
WGS 1984;		

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტბეთის მიმდებარე ტერიტორია – 630 m^3 კირქვა:

N	X	Y
1	333230	4710685
2	333219	4710653
3	333209	4710658
4	333219	4710683
S = 315 m2		
WGS 1984;		

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ჟოშხას მიმდებარე ტერიტორია – 3500 m^3 კირქვა (ღორღი):

N	X	Y
1	332367	4717004
2	332438	4717026

3	332494	4716983
4	332433	4716977
S = 0.32 ჰა		
WGS 1984;		

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი ტოლას მიმდებარე ტერიტორია – 2000 მ³ კირქვა (ღორღი):

N	X	Y
1	334156	4716111
2	334204	4716140
3	334280	4716119
4	334262	4716072
5	334197	4716078
S = 0.54 ჰა		
WGS 1984;		

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე ტოლას მიმდებარე ტერიტორია – 3000 მ³ კირქვა (ღორღი):

N	X	Y
1	336107	4716909
2	336140	4716893
3	336125	4716867
4	336093	4716882
S = 0.11 ჰა		
WGS 1984.		